ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად! # 50 (10088) •22 dekemberi • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis 1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## ბეგლარ სიორიძე: „ყველა რესურსით ჩავერთვებით მსგავს ღონისძიებასა თუ წამოწყებაში“



*ალიონი. „- არაჩვეულებრივი საქმე კეთდება, ხედავთ, რა პირობებში ცხოვრობს თითოეული ეს ოჯახი და რა მძიმეა აქ მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა. სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ამ კატეგორიის ადამიანებისადმი, მოქმედებს სხვადასხვა პროგრამა, რომლის მიზანი არის მათი ხელშეწყობა და დახმარება. ჩვენი მხრიდან, ყველა რესურსით ჩავერთვებით მსგავს ღონისძიებასა თუ წამოწყებაში“, - განაცხადა ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ 16 დეკემბერს, სოციალური მომსახურების სააგენტოს უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით, სოციალურად დაუცველი სამი და მეტბავშვიანი ოჯახებითვის, ასევე ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ ერთი ან მეტი შშმ ბავშვი და რეინტეგრირებული ბავშვებისთვის საჩუქრების გადაცემისას.*

*საკვები პროდუქტები, ჭურჭელი, გაზქურა, საწოლი, სარეცხი მანქანა... ეს ის ჩამონათვალია საჩუქრად გადაეცათ თამარ კლაპოვშაკის, იამზე ხაზილოვის, ალექსანდრე არევიკიანის, ნონა ჯაშის, თინა სალუქვაძის, აივენგო ვაშაყმაძის ოჯახებმა. საჩუქრები გადაეცათ იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ოჯახს რა ნივთი ესაჭიროებოდა.*

*საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა კომისია, რომელიც მიზნად ისახავს კრიზისული ოჯახების დახმარებას.*

## რა არ უთხრა ქეთევან ჯინჭარაძემ ანა ინწკირველს და რა ინფორმაციებს ფლობს საჯარო სამსახურში დაბრუნების მსურველი?

ალიონი. თემების და ქალაქის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე საშტატო კონკურსი, რომლის მეორე ეტაპი ტესტირებას ითვალისწინებდა, კონფიდენციალური იყო და ტესტირების შედეგებზე წვდომის საშუალება მხოლოდ კონკურსის ორგანიზატორებს და თავად კონკურსში მონაწილეებს ჰქონდათ.

ახალგაზრდა ტურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის, **თამაზ ტრაპაიძის** განმარტებით, სხვა გზა მხოლოდ აპლიკანტის მიერ მიღებული გასაჯაროება იყო, მაგრამ, გაჩნდა ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღების სხვა გზაც არსებობდა.

ამის მაგალითი 17 დეკემბერს, სოფ. მთისპირის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი მდივნის ანა ინწკირველის მიერ თემების საკრებულოს ამჟამინდელი წარმომადგენლის ქეთევან ჯინჭარაძისადმი გაგზავნილი მესიჯია, სადაც იგი წერს: „მე შენ მომატყუე. მიიღე (...) ქულა. ჩემთან რად გინდა ასეთი ტყუილი. მაგი რომ დაიდებოდა ინტერნეტში და არ დაიმალებოდა, არ იცოდი?“

როგორც ქეთევან ჯინჭარაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მას ტესტირების ქულებზე არავისთან ჰქონია საუბარი და მისთვის გასაკვირი იყო, თუ საიდან ჰქონდა ანა ინწკირველს ქულებთან წვდომა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სოფ. მთისპირიდან საატესტაციო გამოცდები ქეთევან ჯინჭარაძის გარდა, კიდევ სამმა მთისპირელმა ანა ინწკირველმა, სოფ. მთისპირის ტერიტორიული ორგანოს ყოფილმა რწმუნებულის მოადგილე გენადი ზურგალიძემ და ვანისქედელმა ასლან ვანაძემ ჩააბარეს. როგორც მთისპირლები ამბობენ, სამივე წინა ხელისუფლების დროს იმჟამინდელი მმართველი პარტიის მთავარი ძალა იყვნენ სოფელში და ყველა საშუალებას იყენებდნენ მათ გასამარჯვებლად. გარდა ამისა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ ვრცელდებოდა ხმები, (ამას ქეთევან ჯინჭარაძეც ადასტურებს), რომ იმჟამინდელი მმართველი პარტიის დავალებით ანა ინწკირველს ქალთა მობილური ჯგუფი ჰყავდა შექმნილი, რომელსაც სპეცდავალება უნდა შეესრულებინა „ქართული ოცნების“ იმჟამინდელი ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის სოფ. ბახვში სტუმრობის შემთხვევაში. მოგვიანებით ამ ჯგუფს „მომკვან ქალთა ბრიგადა“ შეარქვეს. ასეთი რამ იმჟამინდელი მმართველი პარტიისათვის უცხო არ იყო და ამდენად არც მთისპირის მაგალითი გაკვირვებიათ. — აღნიშნეს მთისპირელებმა.

**ომარ მახარაძე**, ადგილობრივი მეწარმე- 2012 წლის და წინანდელი არჩევნებისას „ნაციონალურ მოძრაობის“ სიძლიერე მთისპირში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები იყვნენ. გენადი ზურგალიძე და ანა ინწკირველი საუბნო-საარჩევნო კომისიის სრულ გაკონტროლებას ცდილობდნენ და ანა ინწკირველი იბრძოდა კომისიის მდივნის ფუნქცია ჩაეგდო ხელთ. არჩევნების დღეს ამომრჩევლებს ხვდებოდნენ, აფრთხილებდნენ რომ მმართველი პარტიისათვის მიეცათ ხმები. არ მინდა თანასოფლელებზე ბევრი ვისაუბრო. რომ ადგეს და საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე და ეს ხალხი დანიშნოს სოფელში საჯარო თანამდებობაზე, როგორ შეხედავენ იმ ადამიანებს, რომლებმაც მიუხედავად დაშინებისა, ხმა მისცა „ქართულ ოცნებას? „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რომ 52 პროცენტი აიღო მთისპირში, სწორედ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლების „მუშაობის“ შედეგი იყო...“

**ქეთევან ჯინჭარაძე:** ანა ინწკირველმა თანამდებობის დატოვების შემდეგ სახლში წაიღო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ტერიტორიული ორგანოსათვის გადაცემული კომპიუტერი. დღემდე არ გადმოუცია ჩემთვის სამსახურის გასაღები და კიდევ ერთი: მის განკარგულებაშია სოფლის მოსახლეობის პერსონალური მონაცემები, რომელსაც საჭიროების შესაბამისად იყენებს. ვიცი, უნდა გამეცხადებინა, რომ სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი სოფელში საჭირო ინფორმაციებს კვლავ ანა ინწკირველის მეშვეობით იღებდა(?!)



ჩვენ სოციალური სააგენტოს გურიის რეგიონული სამსახურის უფროსის მოადგილეს **ვანო გოგოლაშვილს** ვთხოვეთ განმარტება:- აღნიშნული ინსპექტორი ერთი თვეა ჩვენთან აღარ მუშაობს. ძალიან ცუდია, რომ ეს ინფორმაცია დროულად ვერ მივიღეთ სოფლიდან. ჩვენმა ინსპექტორებმა იციან, რომ სოფელში ინფორმაციის გადასამოწმებლად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს უნდა დაეკონტაქტონ. თუმცა შესაძლოა დამატებით სხვა წყაროც გამოიყენონ....

**ანა ინწკირველი:**- ვერ დავადასტურებ იმას, რომ არც ადრე და არც 2012 წლის არჩევნებში მოვუწოდებდით მოსახლეობას ხმა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიეცათ, ჩვენ ვიყავით საჯარო მოხელეები და ვიცოდით, ამისთვის ცესკო 2000 ლარით დაგვაჯარიმებდა. ადრინდელ არჩევნებში კი ვიყავით (ანა ინწკირველი, გენადი ზურგალიძე-რედ.) საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები. ამ პერიოდში შვებულება გვქონდა გაფორმებული. კი მაქვს კომპიუტერი, რომელიც ჩემია, მაგრამ ინტერნეტთან წვდომა არ მაქვს, ამიტომ ამ გზით ქეთევან ჯინჭარაძის მიერ საატესტაციო გამოცდაზე მიღებულ ქულას ვერ გავიგებდი. მის მიერ მიღებული ქულის შესახებ მეზობლის საშუალებით გავიგე. კი მივწერე მესიჯი იმიტომ, რომ მან სწორი ინფორმაცია არ მომცა.

რაც შეეხება ქალთა მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებას 2012 წლის არჩევნების წინ, არც ამას ვადასტურებ და საერთოდ შემიძლია ნებისმიერ დასმულ კითხვას გავცე პასუხი.

## ნარდის ჩემპიონატი დაიწყო

**ალიონი.** გასულ შაბათს, სოფ. ჭანიეთში სტარტი აიღო ოზურგეთის ჩემპიონატმა სპორტულ ნარდში.

გურიის ნარდის ფედერაცია წელს შეიქმნა. პრეზიდენტია გია მამაკაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ოლეგ გობრონიძე. ფედერაციამ უკვე შექმნა შესაბამისი კლუბები. ოზურგეთის კლუბის ხელმძღვანელია ტარიელ ჭყონია; ადმინისტრატორი - ხალამპრე დოლიძე.



როგორც გია მამაკაიშვილმა გვითხრა, იანვრის ბოლომდე გაგრძელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი. იმავდროულად ქ. ოზურგეთში ჩატარდება უბნების ჩემპიონატი. გამოვლინდება 4 უძლიერესი მონარდე, რომლებიც მუნიციპალიტეტების ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ყველა სოფელში და ქალაქის უბნებში გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზები, ფასიანი საჩუქრები.

გია მამაკაიშვილის თქმით, მუნიციპალიტეტების ჩემპიონატებში გამარჯვებულები შემდეგ რეგიონის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო შემდეგ-საქართველოს ჩემპიონატში.

ბოლო ინფორმაციით სოფ. ჭანიეთის ჩემპიონი ბადრი მჟავანაძე გახდა.

## ფეხით ოზურგეთიდან ბათუმში



ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, 75 წლის ჯემალ კეჭაყმაძე 14 დეკემბერს ქ. ბათუმში პატრიოტთა ალიანსის აქციაზე შესაერთებლად ფეხით გაემგზავრა.

—ყოველდღიურად ვვარჯიშობ. ჯანსაღი ცხოვრებით ვცხოვრობ. ამიტომ გადავწყვიტე სოფ. კვირიკეთიდან ქ. ბათუმში ფეხით წავსულიყავი. ეს იყო ჩემი მხარდაჭერა იმ აქციისადმი, რომელიც ქ. ბათუმში პატრიოტთა ალიანსმა გამართა. მე მხარს ვუჭერ საქართველოში სამართლიანობის აღდგენას, იმათ შორის ვარ, ვინც ითხოვს ემზარ კვიციანის გათავისუფლებას და საყდრის მაღაროებში სამუშაოების შეჩერებას.

ჯემალ კეჭაყმაძემ 60 კმ. მანძილი ბათუმამდე 7 საათში დაფარა. მისი ამ მოგზაურობის შესახებ რეგიონის მოსახლეობას აჭარის ტელევიზიამ ამცნო.




გამოიწერეთ და იკითხეთ გაზეთი

«ალიონი»

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 22.12 | 23.12 | 24.12 | 25.12 | 26.12 | 27.12 | 28.12 |
| წვიმა, | ღრუბელი | წვიმა | მზე | მზე, | მზე | მც. თოვლი, |
| +2+11 | +4+8 | +9+10 | +9+15 | +11+14 | +6+17 | -1+7 |

## მალე ოზურგეთი-ლანჩხუთის რკინა-ბეტონის გზის სარემონტო სამუშაოები დაიწყება

**ალიონი.** სოფ. ოზურგეთის ცენტრიდან ბაილეთი-ჯუმათი-იანეთი-გურიანინინოშვილი-ჩიბათის ჩათვლით სამი წლის წინ რკინაბეტონის გზა დაიგო. გზა, რომელსაც 20-წლიანი გარანტია ჰქონდა, თანდათან გამოდის მწყობრიდან. ყველაზე მძიმე მდგომარეობა სოფლებში — გურიანსა და ეწერშია. გზის ცალკეული მონაკვეთები დაიმეწყრა სოფელ ბაილეთშიც.

ამ თემაზე რედაქციას სწორედ ბაილეთის მცხოვრებლებმა მომართეს.

როგორც შპს „გზამშენი 18"-ის უფროსმა თემურ ჯახვამ გვითხრა, ამ გზის რეაბილიტაციაზე სატენდერო კომისიამ 800 ათასი ლარი გამოყო. გამარჯვებული უკვე გამოვლინდა და სარეაბილიტაციო სამუშაოები აქაც მალე დაიწყება.



## ძიმითის ხიდის გამაგრებით სამუშაოებს შპს „გაბიონი 200" შეასრულებს

**ალიონი.** წინა ნომერში (№48, 8. 12. 2014 წ.) დაიბეჭდა წერილი სოფელ ძიმითში, მდინარე სუფსაზე ხიდის ავარიული მდგომარეობის შესახებ. ამ ხიდით ქალაქ ოზურგეთი სოფლებს — ძიმითს, მამათს, აცანას და ქალაქ ლანჩხუთს უკავშირდება.

როგორც შპს „გზამშენი-18-ის" უფროსმა თემურ ჯახვამ რედაქციას აცნობა, რამდენიმე დღის წინ რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ტენდერი ჩაატარა. სატენდერო თანხა 518 790 ლარს შეადგენდა. ტენდერში მონაწილეობდნენ შპს „ხიდმშენი 99," შპს „არილი" და შპს „გაბიონი 200." ამ უკანასკნელმა ყველაზე ნაკლები თანხა (415 000 ლარი) წარადგინა სატენდეროდ და გაიმარჯვა. ხიდის გამაგრებითი სამუშაოები მალე დაიწყება.




## მდინარე ბჟუჟზე ხიდი განათდა



ქ. ოზურგეთში, მდ. ბჟუჟზე, სოფ. მაკვანეთთან დამაკავშირებელ ხიდზე ა (ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის" განათების სამსახურმა ორსექციანი 6 ახალი ლამპიონი დაამონტაჟა. სამუშაოების თანხა ქ. ოზურგეთის მერიამ გაიღო.

# მთისპირლები წყალზე მრიცხველების დადგმას კვლავ აპროტესტებენ



**ალიონი.** სოფელ მთისპირის მცხოვრებლები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიას და მუნიციპალიტეტის გამგებელ მერაბ ჭანუყვაძეს შეხვდნენ. შეხვედრის თემა კვლავ წყლის მრიცხველები იყო.

როგორც ცნობილა, მთისპირში, ასკანასა და მშვიდობაურში ახალი წყალსადენის ქსელი კეთდება, რომელიც გაფილტრულ წყალს მიაწვდის აღნიშნული სოფლების მოსახლეობას და ასკანაში მშენებარე ღვინის მარანს.

მთისპირლები ამბობენ, რომ სოფელმა წლების წინ საკუთარი რესურსით გააკეთა წყალსადენი, რომელსაც იყენებდნენ როგორც სასმელად, ისე სარწყავად და სხვა დანიშნულებით. აი, რას წერენ ისინი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს: „სოფელ მთიპირში წლების განმავლობაში მოქმედებს წყალსადენი, რომლის სათავე ნაგებობა, მილები და წყალსაცავი აშენებულია სოფლის მოსახლეობის ძალებით. წყალი მოედინება თვითდინებით. ამ დროს ადგილობრივი თვითმმართველობა გვთავაზობს არსებულ წყალსადენზე ფილტრის დაყენებას და წყალი მოსახლეობას მიეყიდება მრიცხველის საშუალებით, რაზედაც ჩვენ, სოფლის მოსახლეობა წინააღმდეგი ვართ, რადგან აღნიშნული წყალი ჩვენ გვჭირდება არა მარტო სასმელად, არამედ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად (სარწყავად, პირუტყვის დასარწყლულებლად). ჩვენი სოფელი მაღალმთიანია, ეროზირებული. არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს სარწყავი არხები. ისედაც შეჭირვებული მოსახლეობა დღევანდელი უმუშევრობის პირობებში თავს ვირჩენთ სოფლის მეურეობის პროდუქტების წარმოებით, რასაც ფასიანი წყლით სარგებლობის პირობებში ვერ უზრუნველვყოფთ, რაც გამოიწვევს სოფლის მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკებას და სოფლის მოსა-

# თამუნა შავაძის ტკივილი და სიხარული

**ალიონი.** წლების მანძილზე არაერთი წერილი დაიწერა შშმ პირის თამუნა შავაძის შესახებ, იწერებოდა რამდენიმე წლის წინ სოფელ მთისპირში (უკანავა), რა ტრაგედია დატრიალდა შავაძეების ოჯახში და როგორ მიეჯაჭვა საწოლს თამუნა შავაძე.

პირველი, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა გოგონას, მეუფე დიმიტრი (შიოლაშვილი) იყო, შემდეგ თანდათან დაიძრა ყინული. თამუნას დედა მერი შავაძე აწუხებდა ხელისუფლებას, დეპუტატებს, ახლობლებს, მეგობრებს. ბავშვობის მეგობარმა, ცნობილმა მომღერალმა ვალერი მელაძემაც გაიგო და დაუფინანსა მკურნალობის ერთი კურსი ყირიმში.

მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცამ ტელეგადაცემაში „ვის უნდა 20 000" მონაწილეობის საშუალება დაუბლოკა თამუნას, მისი სულიერი სიმტკიცის და ოპტიმიზმის წყალობით, ჯანმრთელობა პროგრესისკენ მიდიოდა, მაგრამ არ ხერხდებოდა მისი სარეაბილიტაციოდ წასვლა, თუმცა შშმ პირი ეტლში მჯდომი ახერხებს სხვა შშმ პირებთან შეხვედრას, კითხულობს წიგნებს და ელოდება კეთილი ადამიანების თანადგომას.

თამუნას დედამაც გაიკეთა საკმაოდ რთული ოპერაცია და კვლავ სჭირდება ოპერაცია, მაგრამ მისი პირველი საფიქრალი თამუნაა. ქალბატონი მერი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს შეხვდა და დახმარება სთხოვა. ამ შეხვედრას გაზეთი „ალიონიც" ესწრებოდა. ბატონმა ზვიადმა მისცა პირობა, იმუშავებდა იმაზე, რომ თამუნას დახმარებოდა.

გასული თვის ბოლოს ოზურგეთში საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, პრემიერის მრჩეველი დემოგრაფიულ საკითხებში დიმიტრი ხუნდაძე ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრას მერი შავაძეც ესწრებოდა. ზვიად კვაჭანტირაძემ იგი ხუნდაძეს შეახვედრა და სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებისთვის საჭირო თანხის გამოყოფაზე დახმარება სთხოვა. შავაძემ დახმარების პირობა მიიღო.

რამდენიმე დღის წინ თამუნა შავაძის სახელზე ორი წერილი მივიდა. ერთი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან და მეორე ამ სამინისტროს სოციალური დაცვის სამსახურისაგან, სადაც ერთში ადრე გაგზავნილ მიმართვაზე იყო უარყოფითი პასუხი, ხოლო მეორეში ელექტრო სავარძელ-ეტლის მოთხოვნის მომავალში განხილვის შესახებ.

გასულ ხუთშაბათს შავაძეების ოჯახს ეცნობა, რომ გურიის გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე აპირებდა ასვლას. ცნობილი მოვლენის გამო ასვლა არ შედგა. გიორგი ჩხაიძე გადადგა.

თუმცა, ორშაბათს გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები ავიდნენ მთისპირში და გუბერნატორის საჩუქარი - ლეპტოპი გადასცეს თამუნას.

მომდევნო დღეს კი მედიით შავაძეების ოჯახიდან პარლამენტარებზე უარყოფითი ინფორმაცია წამოვიდა, რასაც მალე მერი შავაძის ზარი მოჰყვა, სადაც იგი შეწუხებული იყო რაღაც „გაუგებრობით" და გარკვევაში დახმარებას გვთხოვდა.



რედაქცია ინფორმაციას ფლობდა, რომ ზვიად კვაჭანტირაძე შავაძის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობდა და დადებით შედეგს ელოდა. იმ დღესვე დავუკავშირდით.

—ორი დღის წინ განიხილა თამუნას საქმე პარლამენტის შესაბამისმა კომისიამ. 48-ე სხდომის ოქმი უდევს ხუნდაძეს წინ, საკითხი საბოლოოდ დადებითად გადაჭრა—გვითხრა კვაჭანტირაძემ.

მერე რედაქციაში მერი შავაძე მოვიდა:

— ორშაბათს გუბერნატორის სამსახურიდან იყვნენ. არც ერთს არ ვიცნობ. მინდოდა „ალიონიდანაც" ამოსულიყავით... იმ დროს მოვიდნენ, როცა ქალაქში მოვდიოდი და წერილები მომქონდა.იქვე დავყარე მაგიდაზე. გიორგი ჩხაიძის საჩუქარზე მადლობა გადავუხადე. ცოტა ხნის შემდეგ ვნახე, რომ სტუმრებს წერილები გაეხსნათ და კითხულობდნენ....

—ზვიად კვაჭანტირაძემ გულით მიმიღო და დახმარებას დამპირდა. ასეთი თბილი დამოკიდებულება არც ერთი ადრინდელი დეპუტატისაგან არ მიგვძნია. ასეთ მდგომარეობაში მყავს შვილი და არც ერთმა ჟურნალისტმა არ უნდა ისარგებლოს ჩემი ემოციებით. მე ყველასგან დახმარება მჭირდება და არა ჩვენი გაჭირვებით მანიპულირება, -გვითხრა მერი შავაძემ.

## მურთაზ აბაშიძე: „მე ქართულ ოცნებას", ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დავუპირისპირდები"

**ალიონი.** — „რა დიდი მისახვედრი ეგაა, ეგ „ნაციონალებს" აწყობთ, „მე ქართულ ოცნებას" და ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დავუპირისპირდები. ვერ ეღირსებიან ამას. თუ საჭირო იქნება, ისევ გვერდით დავუდგები", — განაცხადა გასული კვირის ხუთშაბათს გაზეთ „ალიონის" რედაქციაში „მერცხალის" ვეტერანმა ფეხბურთელმა, ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის ყოფილმა დირექტორმა მურთაზ აბაშიძემ.

„კარგად იცით, რაც მოხდა, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ სტადიონის დირექტორად აღმადგინა და ქ. ოზურგეთის მერიამაც შესაბამისი ბრძანება გამოსცა. თუმცამ მეორე დღეს აუდიტის დასკვნის საფუძველზე გამათავისუფლა. ეს ცალკე თემაა და მას სასამართლოს გზით გავარკვევ, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა საჯაროდ ვთქვა — თავიდანვე გვერდით ვდექი „ქართულ ოცნებას" და დღესაც მისი ერთგული ვარ. ვიღაცეებს სურს, რომ მე „ქართულ ოცნებას" დამაპირისპიროს, სწორედ ამიტომ მიწვევენ ამჟამინდელ დირექტორთან სადებატოდ. სადაური პოლიტიკოსი მე ვარ, იმ კაცთან რა მაქვს სადებატო ან საპრეტენზიო?! თუ სურვილი აქვს, ფეხბურთში ვედებატები", — დასძინა აბაშიძემ.

სტადიონის მოქმედმა დირექტორმა, ბატონმა მამუკა გოგუაძემ „ალიონთან" საუბარში აღნიშნა, რომ, მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინფორმაციების გამო, მურთაზ აბაშიძეს მართლაც იწვევდა სატელევიზიო დებატში და საამისოდ მზადყოფნა ახლაც გამოხატა.





დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე
## სააღმსრულებლო და წარმომადგენლობითი რგოლები ახალი სატრანსპორტო საშუალებებით აღიჭურვებიან



**ალიონი.** 19 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა.

განიხილეს 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი 120 ათასი ლარით გაიზარდა. შემცირდა საკრებულოს, გამგეობის, შტატგარეშე მუშაკების შრომითი ანაზღაურების, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის კავშირგაბმულობის, საწვავ-საპოხი მასალების შემცირების და სხვა ხარჯები.

შესაბამისად, 45 ათასი ლარით გაიზარდა ინფრასტრუქტურის სამუშაოების ხარჯები, 48,5 ათასი ლარით –დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები.

გაიზარდა საკრებულოს და გამგეობის შრომის ანაზღაურების (პრემია) მუხლი შესაბამისად 18,1 და 14,7 ათასი ლარით.

პროექტში 50 ათასი იყო, თუმცა შემდეგ განმარტეს და შესყიდვების გეგმაშიც გამოჩნდა, რომ 90 ათასი ლარი გამოიყოფა გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარისთვის ავტომანქანების შესაძენად.

სოფ. მაკვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნუგზარ კალანდარიშვილმა დააყენა საკითხი, 100-100 ლარი გამოეყოთ, რომ სოფლებშიც იგრძნონ ახალი წელი. ანვე შესთავაზა მუნიციპალიტეტს კულტურის ცენტრს გამოეყენებინა სოფ. მაკვანეთის ადმინისტრაციული შენობა.

დაადგინეს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამდებობრივი სარგოები, რომელიც ასე გამოიყურება:

გამგებელი-2 650 ლარი;გამგებლის პირველი მოადგილე-2 250 ლარი; გამგებლის მოადგილე-2100 ლარი; სამსახურის უფროსი-1 680 ლარი; განყოფილების უფროსი-1050 ლარი; გამგებლის წარმომადგენელი, გამგებლის თანაშემწე-1000-1000 ლარი; მთავარი სპეციალისტი-850 ლარი; წამყვანი სპეციალისტი-750 ლარი; უფროსი სპეციალისტი-700 ლარი; სპეციალისტი-650 ლარი; გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწე-650 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-2250 ლარი; კომისიის თავმჯდომარე-1680 ლარი; ფრაქციის თავმჯდომარე-1680 ლარი; აპარატის უფროსი-1500 ლარი; განყოფილების უფროსი 1050 ლარი; საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე-1000 ლარი; მთავარი სპეციალისტი-850 ლარი; წამყვანი სპეციალისტი-750 ლარი; უფროსი სპეციალისტი-700 ლარი; სპეციალისტი-650 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული წესით შესყიდვის საშუალებით განხორციელებისათვის საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძემ განაცხადა:–წინა აუქციონებზე გამგეობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები აუქციონით იმათ შეიძინეს, ვინც მას მართავდა, რაც ამ აუქციონის სისწორეზე ეჭვს აჩენს. ქონების გადაბარებისას გამქრალია ერთი მიკროავტობუსი. ერთი კაცის ახირება იყო გრეიდერის შეძენა. მაშინ ვთქვი საკრებულოს სხდომაზე, არ გავაკეთოთ და მაინც გააკეთეს. ძალიან ცუდია, როცა თანამდებობის პირები პასუხს არ აგებენ სამსახურებრივ გადაცდომებზე, სამსახურიდან თანამშრომლების არასწორ გათავისუფლებზე, რის გამოც ბიუჯეტს უწევს ხარჯების გაწევა.

# მე-2 საჯაროში ქართული ლექსის „ეპიდემიამ" იფეთქა
## „ასე იყო, ასე არის და მარადჟამს ასე იქნება"!

თემურ მარშანიშვილი

რა ვუთხარ ისეთ ოზურგეთელს, ვინაც №2 საჯარო სკოლას ჩაუვლის და, მოწიწების ნიშნად, წამიერად ნაბიჯს არ შეანელებს. ამ სკოლის შესახებ, გურულად რომ ვთქვათ, დღეს მთელი დუნია ლაპარაკობს. მართალი გითხრათ, არც მიკვირს, რადგან აქ მოღვაწე (დიახ, მოღვაწე) პედაგოგებს და მოსწავლეებს წარმატებები და გამარჯვებები ტრადიციულად ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, „ასე იყო, ასე არის და მარადჟამს ასე იქნება"!

17 სექტემბერს აქ სულიდან ხატოვნად ამოთქმული ლექსით გაჯერებულმა ქართული პოეზიის „ეპიდემიამ" იფეთქა. როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, „ეპიდემიის" კვრა იმდენად მძლავრი და ეროვნული აღმოჩნდა, რომ ერთიანად „ჩაითრია" ორგანიზატორებიც, მონაწილეებიც, მათი გულშემატკივრებიცა და ჟიურის წევრებიც.

მოკლედ, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი და ლოგიკური იყო: მოსწავლეებმა ნიკოლოზ შაფაქიძემ, ლაშა წულაძემ, ტარიელ შარაძემ, იმედო შაფაქიძემ, ლეო თოიძემ, ლიზი ჯიმშიაშვილმა, ნატა ჩიტაიშვილმა, გიორგი ბაბილოძემ, გიორგი გიორგაძემ, გიორგი წიტაიშვილმა, ელენე სალუქვაძემ, თამარ თავართქილაძემ, მარიამ ვასაძემ, ელენე გოგიბერიძემ, ლიზი მენაბდემ, ცოტნე ცაგარეიშვილმა, მარიამ ნარსიამ, სალომე ლადიჟენსკიმ და გოჩა ჭელიძემ, სკოლის მეორე სართულის დერეფანში ქართველ პოეტთა შედევრების ჰარმონიულად განფენით, საგონებელში ჩააგდეს ჟიური. ცხრამეტივე მონაწილემ დაამტკიცა, რომ კარგი მოქართულე და ქართულ პოეზიაზე მარად შეყვარებული ახალგაზრდებია, ცხრამეტივემ დამსახურებულად მიიღო აღფრთოვანება და შესაბამისი სიგელები.



საბოლოოდ, ჟიურის გადაწყვეტილებით, ლექსის საუკეთესო წამკითხველებად მიიჩნიეს ნატა ჩიტაიშვილი და გიორგი ბაბილოძე.

პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს ნიკოლოზ შაფაქიძემ და ტარიელ შარაძემ.

ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდე ნიკოლოზ შაფაქიძეზე. პირადად მე შესაძლებლობა მქონდა, სოციალურ ქსელში გავცნობოდი მის რამდენიმე ლექსს. კარგად დაიმახსოვრეთ ეს სახელი და გვარი. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ის ბიჭია, რომელიც თავის ორიგინალურ სიტყვას იტყვის ქართულ პოეზიაში, რასაკვირველია, თუ სწორად წარმართავს თავის ნიჭსა და ტალანტს.

მეორე ხარისხის დიპლომები გადაეცათ ელენე გოგიბერიძესა და ლაშა წულაძეს; მესამე ხარისხის დიპლომები კი წილად ხვდათ მარიამ ვასაძესა და გიორგი წიტაიშვილს. ორიგინალური კითხვის ნომინაციაში საუკეთესოები იყვნენ თამარ თავართქილაძე და ცოტნე ცაგარეიშვილი. შესაბამისი ნომინაციის უქონლობის გამო, „უდიპლომოდ" დარჩნენ ღონისძიების ორგანიზატორები – სკოლის დირექცია და პედაგოგი ქალბატონი იზო სიხარულიძე, თუმცა მათ ჟიურისგან ღრმა პატივიცემა, დამსწრე საზოგადოებისაგან მადლობა და მოსწავლეებისგან ყველაზე მაღალი ჯილდო, დიდი სიყვარული დაიმსახურეს.

# შეხვედრა სოფელ თხინვალში



**ალიონი.** სოფ. თხინვალის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნანული ბოლქვაძე) მე-2 კლასმა შეხვედრა მოუწყო ამავე სკოლის დაწყებითი კლასების კურსდამთავრებულებს: პოეტს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრს გალაქტიონ ღლონტს და დამსახურებულ პედაგოგს, პოეტსა და ლოტბარს ნოდარ დონაძეს.

ღონისძიებას უძღვებოდა პედაგოგი ოთარ დოლიძე.

უნდა აღინიშნოს მეორე კლასელთა (სულ 6 არიან, კლასის დამრიგებელი ლამარა გუჯაბიძე) უნაკლოდ წარმოდგენილი პროგრამა, რომელშიც უფროსკლასელებიც მონაწილეობდნენ. მუსიკალურ ნომრებში გამორჩეული იყო ნოდარ დონაძის შვილიშვილი ნოდიკო დონაძე.

სკოლის პედაგოგ-მოსწავლეთა გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა გობრონიძე, პედაგოგთა და მეცნიერთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე (რომელმაც საჩუქრები გადასცა მე-2 კლასს) და ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ნანი სალუქვაძე.

გალაქტიონ ღლონტმა და ნოდარ დონაძემ ბევრი საგულისხმო რამ გაიხსენეს სოფლის წარსულიდან, სკოლის ისტორიიდან და საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

# ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ახალი ინგლისურენოვანი ლიტერატურით შეივსო



18 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ახალი ინგლისურენოვანი ლიტერატურით შეივსო. ახალი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ბიბლიოთეკას ოზურგეთში სტუმრად მყოფმა აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების თანამშრომელმა, კულტურის ატაშემ, ბატონმა ჯეიმს დუიმ გადასცა. მანვე სამახსოვრო სურათები გადაიღო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან.

– „ჩვენი ურთიერთობა გრძელდება და ახლო მომავალში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება", – თქვა შეხვედრაზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ლიკა ბაქანიძემ.

# ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის მეორე ნაკადის კურსდამთავრებულები ჯეიმს დუიმ დააჯილდოვა



*ალიონი: 18 დეკემბერს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის მეორე ნაკადის კურსდამთავრებულები აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების თანამშრომელმა, კულტურის ატაშემ, ბატონმა ჯეიმს დუიმ დააჯილდოვა*

*დაჯილდოვების ცერემონიაზე შეჯამდა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები. კურსის მონაწილე მოზარდებმა ისაუბრეს პროგრამის მნიშვნელობაზე მათი მომავალი პროფესიული განვითარების საქმეში.*

*ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (AAC-CESS ) არის ამერიკული ორგანიზაცია PH Internacional-ისა და ამერიკის საელჩოს ერთობლივი ინიციატივა. იგი მიზნად ისახავს ხელმისაწვდომი გახადოს ინგლისური ენის შესწავლა მოზარდებისთვის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებიდან. ინგლისური ენის გაკვეთილებთან ერთად, მონაწილეთათვის ტარდება გამდიდრებული ღონისძიებები ამერიკული კულტურის, ტრადიციების, ისტორიის და წეს-ჩვეულებების შესახებ. პროგრამა საქართველოს რამდენიმე რეგიონში ხორციელდება, მათ შორისაა ოზურგეთი. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია რეგიონში.*

# ლექცია-სემინარი პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში

*ალიონი. 17 დეკემბერს სოფელ ბახვის 1 საჯარო სკოლას ქ.ოზურგეთის რაიონული პროკურორი ბატონი პეტრე სალუქვაძე ეწვია. შეხვდა სკოლის უფროს მოსწავლეებს. ჩაატარა ლექცია-სემინარი თემაზე „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ნარკოტიკული დანაშაული". ლექცია-სემინარი ჩატარდა პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურა"-ს ფარგლებში. მოსწავლეები თემის ირგვლივ სვამდნენ კითხვებს, რომელზეც სრულად იღებდნენ პასუხს.*

# პარასკევიდან პარასკევამდე
## სავაჭრო პროდუქტების ფასების დინამიკა

*ამიერიდან ამ სათაურით გაზეთი „ალიონი" გამოაქვეყნებს ქალაქ ოზურგეთში სასურსათო პროდუქტების ფასების ყოველკვირეულ დინამიკას. რამდენადაც ოზურგეთში ბაზრობის დღედ პარასკევი მიიჩნევა, ჩვენაც ამ სტატისტიკას შემოგთავაზებთ პარასკევიდან პარასკევის ჩათვლით.*

*12 დეკემბერს პარასკევს, საქონლის ხორცის 11 ლარი ღირდა, მომავალ პარასკევს, ანუ 19 დეკემბერს ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა; კომბოსტოს ფასი 80 თეთრი იყო და 10 თეთრით გაიზარდა; კარტოფილის ფასი 1,20 ლარი იყო და 1,40 ლარია; ქათმის ბარკლების ღირებულებამ ერთი კვირის განმავლობაში 50-თეთრიანი ზრდა განიცადა, იყო 4 ლარი გახდა 4 ლარი და 50 თეთრი; თევზი სკუმბრიაც 50 თეთრით გაძვირდა; შაქარი 1, 70 ლარი გახდა (იყო 1,60 ლარი); უცვლელია სუფრის მარილის ფასი – 50 თეთრი; ხახვი 10 თეთრით გაძვირდა და 1, 20 ლარი ღირს; ნიორი 5 ლარიდან ფეხს არ იცვლის; ზეთი ორლიტრიანში ღირდა 6 ლარი, ღირს 6.50 ლარი; 70 თეთრით გაძვირდა ყველი და იგი 8 ლარი ღირს; კიტრი 2,30 ლარი ღირდა და 2,50 ღირს; პომიდორი შესაბამისად – 2,30 და 2,50 ლარი; ლობიო (ქონა) – 4,00 და 4,30 ლარი...*

# ფირალი სისონა დარჩია

**ენვერ გოგუაძე**

**დასაწყისი იხ. ალიონი №47-49 2014 წ.**

1886 წლიდან 1888 წლამდე იფირალა სისონამ და ვასილამ „პატიმრად პყრობის გარეშე“. დროის ამ მონაკვეთში მრავალი საგმირო საქმეც მოასწრო და დიდად გაითქვა სახელი. პირველი „დაცემა ესე გურიელის მოურავზე ანდრია ჩიკაშუაზე მოაწყო და იმ ქვეყნის საგზური გამოუწერა, საიდანაც უკან აღარასოდეს ბრუნდებიან. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ანდრია ჩიკაშუა პირველი მოურავი იყო, რომელიც „გავარდნილმა“ კაცმა გაასაღა გურიაში. ამიერიდან სისონას სახელი დიდად განივრცო. მისი სახელის ხსენება თანდათანობით შიშის და ზარის დამცემი შეიქმნა. ესე გურიელმა და მაზრის უფროსმა დაგოროვმა შეკრიბეს „ზემსკაია სტრაჟა“ და კვალში ჩაუდგნენ გაფირალებულ დარჩიებს. გაამრავლეს სისონაზე მოთვალთვალე ჯაშუშთა რაოდენობა, რომელთაც თვალთვალი დაუწყეს „ავაზაკ დარჩიას“. თუ არა ჯაშუშის ის მრავალგზის ნაცადი გზა, ისე სისონას მოხელთება შეუძლებელი იყო. სისონასაც საკუთარი მომხრეები ჰყავდა ესე გურიელის გარემოცვაში. ამბავი მოუტანეს: რაშიტელა გოგუაძე გღალატობსო. ჩაუსაფრდა სისონა რაშიტელას, „ოთხად მოკაკული გოგუაძე“ ძმობას ეფიცებოდა. შენს ღალატს როგორ ვიკადრებდიო. ყაჩაღის სამართალი მარტივი იყო. სიკვდილით არ მოუკლავს რაშიტელა, მაგრამ, როგორც საკალანდო ღორის თავს, „ყური მიათალა ძირში“, ცხვირსახოცში შეუხვია და ესე გურიელთან გაატანა, „ასე უფრო დაუმტკიცებ დიდ ბატონს ყურმოჭრილ ყმობასო“. 1888 წელს, დეკემბრის 22-ს ძმები დარჩიები ადამიანზე ნაგეშმა ლანჩხუთის ბოქაულმა შეიპყრო ღალატით და სისხლითა და ცოდვით დამძიმებულ ოზურგეთის ციხეში მიჰგვარა მაზრის უფროსს. გურიამ დროებით შვებით ამოისუნთქა. „ორმაგი ზაკუსკისა“ და სადილ-ვახშმების კეთება შეწყდა მოსახლეობაში. 1888 წლის 22 დეკემბერს, აღნიშნულთან დაკავშირებით გაზ. „ივერია“ წერდა: ავაზაკი სისონა დარჩია ცნობილია მრავალგზის ბოროტმოქმედებით. ამას წინად იგი ბევრის ძებნის შემდეგ თითონ დანებდა ლანჩხუთის ბოქაულს, რომელმაც ავაზაკი მაზრის უფროსს წარუდგინა. რასაკვირველია, დარჩიას მაშინვე ვირის აბანოში უკრეს თავი. ოზურგეთის „ვირის აბანო“ სიკვდილის ტოლფასი იყო ვასილა და სისონა დარჩიებისათვის, კაზამეტაში სულშეხუთულებს თავისუფლება მოსწყურდათ და კიდეც გაინავარდეს გარეთ ხანმოკლე დროით. ტექნიკურ საქმეებში და მოხერხებაში „ტყვის ტყვიაში“ ჩამჯენ სისონას ვასილა აღემატებოდა ბევრად. ზოგიერთი გადმოცემით, გვირაბის გათხრა ემარჯვებოდა. მთელ ღამეს მუშაობდნენ. „ხვრელი გაიყვანეს ნაობახიდან ხელ-ფეხზე ბორკილ წაძრობილებმა. ციხის მესერა გაფუშეს და სამშვიდობოს გავიდნენ. თუმცა თავისუფლება ხანმოკლე გამოდგა. იმავე გაზეთის ცნობით: „ამ დღეებში (ოზურგეთის) საპატიმროდან გაიქცა ავაზაკი დარჩია, თავისუფლება მოსწყურდა. გასტეხა ბორკილი, საპატიმროს ფეხის ადგილიდან გაიპარა. ყარაულებმა შეიტყვეს თუ არა, ასტეხეს ერთ აურზაური და თოფის სროლა, მაგრამ ტუსაღი მიიმალა... მეორე დღეს აქეთ-იქეთ აფრინეს დარჩიას შესაპყრობად კაცები, მაშინ, როდესაც ქალაქ გარეთ დაეძებდნენ გაქცეულ ავაზაკს, დარჩია არხეინად იდგა იქვე საპატიმროს ახლოს და ბორკილისგან მიყენებულ ჭრილობას სწამლობდა. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა, მეორე დღესვე მიაგნეს და უცაბედად დაიჭირეს.



ექვსი თვე ხეხა სისონა დარჩიამ და მისმა ძმამ ოზურგეთის ნაობახი, ექვსი თვე მაზრის უფროსი, მისი „ზემსკაია სტრაჟა“, ესე გურიელი, ვაჭრები და „უფლის მსახურნი“ გულარხეინად ცხოვრობდნენ მაზრაში, სისონას 12 წლის კატორღა მიუსაჯეს. ამიერიდან ძმები დარჩიები გურიას ისე ძნელად იხილავდნენ, როგორც საკუთარ ყურებს.

**გაგრძელება იქნება**

## იუბილე



თბილი, სათნოდ მომღიმარი, ენერგიული ნაბიჯებით, ცოდნით დახუნძლული, სიკეთის გაცემის სურვილით ანთებული მრავალი წელია მხნედ მიაბიჯებს სკოლის ნაცნობი გზით ქალბატონი ეთერ აბაშიძე.

ქალბატონი ეთერი მხოლოდ ინგლისურ ენას კი არა, ცხოვრების სიბრძნეს ასწავლის მომავალ თაობას.

თავისი საქმის დიდოსტატი, მუდმივად იმაღლებს პროფესიულ ცოდნას. მისი აღზრდილები სიამაყით იხსენებენ, როგორც გამორჩეულ პედაგოგს, მეგობარსა და მესაიდუმლეს.

გამორჩეული მაღალი ზნეობით, ბავშვების სიყვარულით, მტკიცე ერთგული მეგობარი, საიმედო დასაყრდენი ჭირსა და ლხინში.

დღეს ქალბატონი ეთერის სახელწოდების დღეა. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ, ვუსურვებთ შემოქმედებით წვას და დიდხანს სიცოცხლეს!

**ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები; საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

## ქალაქ ოზურგეთში 16 მეტრი სიმაღლის საახალწლო ნაძვისხე დაიდგმება

ქალაქ ოზურგეთში, გამსახურდიას მოედანზე 16 მეტრი სიმაღლის საახალწლო ნაძვისხე დაიდგმება. ამის შესახებ „ალიონთან“ საუბარში ნაძვის ხის კონსტრუქციაზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა თქვეს.

საახალწლო განათება ქალაქის ყველა ქუჩაზე დამონტაჟდება, ორიგინალურად განათდება ჭადრების ბალი თოვლის ფიფქის ფორმის ნათურებით. სულ 12 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდება.

## „მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (გურია-აჭარა)“

ამ სახელწოდებით სოფელ დვაბზუში, ოზურგეთის შალვა რადიანის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტმა, სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურმა, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრმა ჩაატარეს ერთობლივი კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, დოქტორანტები, სტუდენტები, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი ლალი სიჭინავა, ამავე სკოლის პედაგოგები, სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის წარმომადგენელი მაყვალა ხეჩუაშვილი, მოსწავლეები, დვაბზუს საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნატო თავამაიშვილი.

კონფერენცია დალოცა მამა ბასილმა (კვირჩილაძე).

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა რაიონის ეთნოგრაფიული მუზეუმის სამსახურის უფროსი ნინო ჭელიძე.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ მერაბ მეგრელიშვილის მოხსენებამ — „მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (გურია-აჭარა)“. წარმოშობით ცხემლისხიდელმა მეცნიერმა დამაჯერებლად გააშუქა გურია-აჭარის ისტორიული საზღვრები.

გურია-აჭარის ურთიერთობის ისტორიიდან (მე-19 საუკუნე) პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა, წარმოშობით ლიხაურელმა, ისაუბრა იმ კვლევა-ძიების შესახებ, რომელიც ეხება მე-19 საუკუნეში გურიაში განვითარებულ მოვლენას.

პეტრას ლოკალიზაციის საკითხი გააშუქა პროფესორმა სიმონ გოგიტიძემ. საკუთარ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით მან პეტრას ადგილმდებარეობა განსაზღვრა ვაშნარის ნაქალაქართან. ამ საკითხმა ცხოველი დებატი გამოიწვია. მიუხედავად ჩვენი დიდი პატივისცემისა, ბატონი პროფესორის მიმართ, დღეს მგონი საკამათო არ უნდა იყოს ვაშნარის ნაქალაქარი, რომელიც ქართველ მეცნიერთა მიერ აღიარებულია ადრე ქრისტიანული ხანის ქართულ ციხე-ქალაქად და სამონასტრო კომპლექსად. სტუდენტებმა თამაზ დავითაძემ და თორნიკე მეგრელიშვილმა წარმოადგინეს თემები: გურიის სამთავროს ისტორიიდან და გურია-აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში.



დოქტორანტმა კახაბერ ქამადაძემ წარმოადგინა არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი მდინარე ჭოროხის აუზში.

დოქტორანტმა გურამ ჩხატარაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა გურიანთის ნეოლითური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა ერთხმად გამოთქვეს სურვილი ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაბარებისა.

ბოლოს კონფერენციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს სამზად სახლში, სადაც კერიის პირას, შუა ცეცხლთან სახელდახელოდ გამართულ სუფრასთან. სტუმარ-მასპინძლებმა ბევრი საინტერესო სურვილი და წინადადება წარმოთქვეს.

სტუმრებმა შემდეგი ღონისძიება ბათუმის უნივერსიტეტში დაგეგმეს, სადაც მიიპატიჟეს დამსწრე საზოგადოება და ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

# გურიის ჩემპიონი ჭადრაკში მინდია ჩხიკვიშვილი გახდა



*მინდია ჩხიკვიშვილი, რ. ჯაშის მეგობრული შარჟი*

ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც რეგიონის 12 უძლიერესი მოჭადრაკე (ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთანრიგოსანი) ღებულობდა მონაწილეობას (ქ.ოზურგეთის ჩათვლით, 3–3 საუკეთესო მოჭადრაკე თითოეული მუნიციპალიტეტიდან).

ჩემპიონატს, რომელიც იმავდროულად საქართველოს პირველობის ზონალური ტურნირიცაა, გურიის ჭადრაკის ფედერაცია ყოველწლიურად მართავს იგი რეგიონში საჭადრაკო სეზონის ერთგვარ შემაჯამებელ ღონისძიებასაც წარმოადგენს.

როგორც ჩვენთან საუბარში ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ აღნიშნა, ამ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებს რთული ბარიერების გადალახვა მოუწიათ.. მათ ჯერ შესარჩევ ტურნირებში უნდა ემარჯვათ, შემდეგ კი მუნიციპალურ ჩემპიონატებში. ძალზე სასიხარულოა, რომ ეს უფლება მოიპოვეს მე–2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თორნიკე მახარაძემ და მიშიკო ქურიძემ, რომლებმაც გამოცდილ მოჭადრაკეებს (მათ შორის რაიონის ყოფილ ჩემპიონებს) გადაუღობეს გზა ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ჩემპიონატისადმი ინტერესს ქმნიდა ისიც, რომ მასში ოთხი ექსჩემპიონი ღებულობდაა მონაწილეობას – ლანჩხუთელები **ნუგზარ გვარჯალაძე (3–ჯერ) და ტარიელ ხუხუნაიშვილი (2–ჯერ)**, ჩოხატაურელი **გივი ქორიძე(2–ჯერ)** და ოზურგეთელი **მინდია ჩხიკვიშვილი (ერთხელ),** რომელთა პარტიებს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს დარბაზში მრავლად შეკრებილი ჭადრაკის მოყვარულები. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო რეგიონის შარშანდელმა ჩემპიონმა დავით ცეცხლაძემ, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება.

ჩემპიონატი, რომელიც წრიული სისტემით და ფიდეს მოქმედი წესებით ჩატარდა, ძალზე საინტერესოდ წარიმართა. შეჯიბრების ფინიშამდე 2 ტურით ადრე 5-6 მოჭადრაკე ინარჩუნებდა საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსს. ჩემპიონის ვინაობა ერთი ტურით ადრე გამოვლინდა. ოსტატობის კანდიდატმა **მინდია ჩხიკვიშვილმა,** რომელმაც თავიდანვე იგდო ხელთ ლიდერობა, 1,5 ქულით გაუსწრო მეტოქეს და მეორედ მოიპოვა რეგიონის ჩემპიონის ტიტული. II-III და IV საპრიზო ადგილების ბედი ბოლო ტურის ბოლო პარტიაში გადაწყდა, რომელშიც ოზურგეთელი **გიორგი გოგოლაური და გივი ქორიძე** ერკინებოდნენ ერთმანეთს. გიორგის ყაიმიც ყოფნიდა მე–2 ადგილისათვის, ამ შემთხვევაში **ქორიძე** მეოთხე ადგილზე აღმოჩნდებოდა, ხოლო მესამეზე ლანჩხუთელი **გვარჯალაძე.** საბოლოოდ ქორიძე მოგებით გიორგის დაეწია და დებულების შესაბამისად, უკეთესი კოეფიციენტით, ვიცე–ჩემპიონობა ერგო, ხოლო მე–3 ადგილზე **გოგოლაურმა** ჩაიმინაცვლა.

ჩემპიონატის საბოლაო შედეგები კი ასეთია: I- **მინდია ჩხიკვიშვილი –9,5;II- გივი ქორიძე–8; III-გიორგი გოგოლაური –8; IV-ნუგზარ გვარჯალაძე–8;** V-**გივი სიამაშვილი–7; VI-ტარიელ ხუხუნაიშვილი–6; VII-კარლო ცხომელიძე– 6; VIII-ადამ ხუხუნაიშვილი–4,5;IX-X-თორნიკე მახარაძე–3,5 და მიშიკო ქურიძე–3,5;; გოგუა აკაკი–2,5;**

ჩემპიონატი, რომელიც ორგანიზებული იყო გურიის ჭადრაკის ფედერაციისა (ზ. ანდღულაძე) და ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის (**გელა შავაძე**) მიერ, საზეიმო ვითარებაში დაიხურა. გამარჯვებულებს სპეციალურ დიპლომებთან და მედლებთან ერთად ,ფულადი და ფასიანი პრიზები გადაეცა.

ქ.ოზურგეთის მერმა **ბეგი სიორიძემ,** როგორც წარმატებული და პერსპექტული მოჭადრაკეები, დააჯილდოვა **თორნიკე მახარაძე და მიშიკო ქურიძე.** თორნიკე წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა თავის თანატოლებში, ხოლო მიშიკომ წარმატებით იასპარეზა ურეკში დიდებში ჩატარებულ საქართველოს გუნდურ ჩემპიონატში. ასევე, ამჟამადაც დაჯილდოვდებიან ისინი აკადემიკოს ვალერიან ცანავას მიერ, რომელიც რამდენიმე წელია მათი ქომაგია და არაერთხელ გაუწევია სპონსორობა საჭადრაკო ტურნირებისათვის.

ჭადრაკის ფედერაციის სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივი და მისი ხელმძღვანელი ლიკა ბაქანიძე, რომლებმაც მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი ჩემპიონატის მაღალორგანიზებულად ჩატარებას.

ჩემპიონატის როგორც გახსნაში, ისე დახურვაში მონაწილეობდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები–ქალაქის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეები **გელა კობალაძე და დავით დარჩია,** მერის მოადგილე **კობა ლუნდუა,** ქალაქის კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი **ბესო მელუა** და ადგილობრივი სპორტის წარმომადგენლები.

გაზეთი ალიონი თანაუგრძნობს ნელი ლაგაზაშვილს დის **ქეთევან ლაგაზაშვილი-იარაჯულის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე